საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1494

2013 წლის 23 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სასარგებლო წიაღისეულის (მინერალური წყალი „ზანავი“) მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მოთხოვნების დადგენის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავის ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყალი „ზანავის“ საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის შემდეგი მოთხოვნები:

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ლიცენზიის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავის ტერიტორიაზე უზრუნველყოს მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოს მშენებლობა და აღნიშნულ საწარმოში მინერალური წყლის ჩამოსხმის დაწყება, ლიცენზიის პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საწარმოში სოფელ ზანავში რეგისტრირებული არანაკლებ 20 პირის დასაქმება.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**